წინამდებარე ცხრილში 2.1 მოცემულია მეწველი ძროხის მარჟინალური მოგების ანგარიში აჭარა-გურიის ყველაზე მეტად გავრცელებულ – მომთაბარე მეურნეობის შემთხვევისათვის. მასში მოყვანილი ციფრები წარმოადგენენ ბოლო 5 წლის საშუალო მაჩვენებლებს. ცხრილში ნაჩვენებია მაჩვენებლები წელიწადში, როგორც 1 სული პირუტყვისათვის, ასევე მთლიანი ნახირისათვის (ჩვენს შემთხვევაში 15 სულისათვის, ბოლო – მარჯვენა სვეტი). ანგარიშის შედეგად მიღებული ზოგიერთი ციფრი დამრგვალებულია.

დეტალურად განვიხილოთ ცხრილის 2.1. თვითეული სტრიქონი ცალ-ცალკე:

სტრიქონი 1 – ძროხის საშუალო ცოცხალ წონად აღებულია 300 კგ.

სტრიქონი 2 – ხბოების მოგებებს შორის პერიოდი საშუალოდ ტოლია 395 დღის. იგი მოიცავს ძროხის მაკეობის პერიოდს – 270 დღე, ე.წ. სერვის პერიოდს – 60 დღე და პერიოდს პირველ წარმატებულ განაყოფიერებამდე – 65 დღე.

სტრიქონი 3 – მეწველი ძროხის გამოყენება საშუალოდ ხდება 8 წლის განმავლობაში. ამის შენდევ იგი უნდა დაიკალას და ჩანაცვლდეს ახალგაზრდა – ე.წ. სარემონტო მაკე დეკუელით.

სტრიქონი 4 – ნახირის განახლება–ბრუნვა, ანუ რემონტი გამოსახული პროცენტებში, ტოლია $100 \cdot (1 - \text{ერთი ძროხის გამოყენების ხანგრძლივობა})$, ანუ $100 \cdot (1/8) = 13\%$. ეს ნიშნავს იმას, რომ 100 სული ძროხიდან ყოველ წელს უნდა დაიკლას 13 (თუ ადგილი არ ექნა სიკვდილიანობას) და ნახირი შეივსოს ახალი 13 დეკუელით.

სტრიქონი 5 – რადგან ხბოების მოგებების პერიოდი შეადგენს 395 დღეს, ამიტომ 1 ფურზე წელიწადში დაბადებული ხბოების რაოდენობა იქნება $365/395 = 0.92$ ხბო. ანუ ყოველი 100 ფური შობს 92 ხბოს წელიწადში.

სტრიქონი 6 – ხბოების სიკვდილიანობის ნორმად აღებულია 7%, რაც ნიშნავს: 100 დაბადებული ხბოდან კვდება 7 სული. ე.ი. $0,92 \text{ ხბო/წელი} - 0,07 = 0,85 \text{ ხბო/წელი}$. ანუ, გამოზრდილი ხბოების რაოდენობა 1 ფურზე წელიწადში შეადგენს 0,85 ხბოს (ანუ 85 ხბო/100 ფურზე).

სტრიქონი 7 – საშუალო წლიურ წველადობად აღებულია 1300 ლიტრი/1 სული ძროხა. საქართველოში რძის აღნიშნული რაოდენობა ძირითადად იწარმოება ზაფხულის პერიოდში, როცა ძროხა საძოვარზეა მიშვებული და ნოყიერი მწვანე ბალახით იკვებება. ზამთარში ძროხის საკვებად უმეტესად თივას აძლევენ და იგი მოკლებულია მისთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს დაკონსერვებულ საკვებს, როგორც სილოსია. ამიტომ, ზამთარში ძროხის წველადობა მინიმალურია და რძის რაოდენობა მხოლოდ ხბოს გამოსაკვებადაა საკმარისი.

სტრიქონი 10 – შემოსავალი რძის რეალიზაციიდან ტოლია წლიური წველადობა 1 ძროხაზე გამრავლებული რძის საშუალო ფასზე: $1300 \text{ ლიტრი/1 ძროხა} \cdot \text{წელი} \cdot 0,7 \text{ ლარი} = 910 \text{ ლარი/1 ძროხა-წელი}$, ხოლო 15 სულიანი ნახირისათვის შემოსავალი რძიდან იქნება $910 \text{ ლარი/1 ძროხა-წელი} \cdot 15 \text{ სული} = 13650 \text{ ლარი/წელი}$.

სტრიქონი 11 – ძროხების სიკვდილიანობის (2%—100 სულიდან კვდება 2სული) გათვალისწინებით, წელიწადში გამოწუნებული ძროხების რაოდენობა იქნება $0,13 - 0,02 = 0,11$, ანუ 100 სული ძროხიდან ყოველ წელს დაიკვლება 11 სული. ზემოთ, როგორც ავლნიშნეთ (სტრიქონი 4), 0,13

(ანუ 13%) წარმოადგენს ნახირის რემონტს (ბრუნვას). ე.ი. შემოსავალი ბებერი ძროხის ხორცის რეალიზაციიდან იქნება $0,11 \cdot 400 \text{კგ}/1 \text{ ძროხა} \cdot 3 \text{ ლარ/კგ} = 132/1 \text{ძროხა-წელი}$, ხოლო 15 სულიანი ნახირისათვის შემოსავალი იქნება $132 \text{ლარი}/1 \text{ძროხა} \cdot 15 \text{ სული} = 1980 \text{ლარი/წელი}$.

სტრიქონი 12 – როგორც უკვე ზემოთ (სტრიქონი 6) ავლნიშნეთ, წელიწადში 1 სულ ძროხაზე მოდის 0,85 გამოზრდილი ხბო. იგი შეფასებულია 70 ლარად. მათი ნამრავლი წარმოადგენს შემოსავალს ხბოდან 1 სულ ძროხაზე, ე.ი. $0,85 \cdot 70 \text{ ლარი}/1 \text{ ხბო} = 60 \text{ ლარი}/1 \text{ძროხა-წელი}$, ანუ მთლიანი ნახირისათვის $60 \text{ ლარი}/1 \text{ ძროხა-წელი} \cdot 15 \text{ სული} = 897 \text{ ლარი/ წელი}$.

სტრიქონი 13 – ამ სტრიქონში დაჯამებულია ყველა შემოსავალი: სულ შემოსავლების ჯამია $910 + 132 + 60 = 1102 \text{ ლარი}/1 \text{ძროხა-წელი}$, ანუ 15 სულიანი ნახირისათვის – $13650 + 1980 + 897 = 16527 \text{ ლარი/წელი}$. შესაძლო შემოსავალი ნაკელის რეალიზაციიდან ჩვენს მაგალითში განხილული არ არის.

მომდევნო სტრიქონებში განხილულია ცვლადი შემოსავლები.

სტრიქონი 16 – ზამთრის სეზონისათვის ძროხის კვება-დღეების რაოდენობად არებულია 150 დღე, ანუ 5 თვე.

სტრიქონი 17 – ზამთარში ძროხას ეძლევა 12 კგ/დღე-ღამე თივა, ანუ ზამთრის მთლიან სეზონზე ძროხას სჭირდება $12 \text{კგ/დღე} \cdot 150 \text{ დღე} = 1800 \text{ კგ თივა}$. მისი ფულადი ხარჯი $1800 \text{კგ} \cdot 0,05 \text{ ლარი/კგ} = 90 \text{ ლარი}/1 \text{ძროხა-წელი}$. მთლიანი ნახირისათვის დაიხარჯებ $90 \text{ ლარი}/1 \text{ ძროხა} \cdot 15 \text{ სული} = 1350 \text{ ლარი/წელი}$. ანალოგიურად იანგარიშება ქატოს ხარჯებიც.

სტრიქონი 19 – სულ ზამთრის საკვებზე დაიხარჯა 203 ლარი/1ძროხა-წელი (მთლიანი ნახირისათვის 3037 ლარი/წელი).

სტრიქონი 20 – როგორც ზემოთ (სტრიქონი 4) ავლნიშნეთ, ნახირის განახლებისათვის ყოველ წელს გვჭირდება 13 სული სარემონტო მაკე ძროხა ყოველ 100 ფურზე, ანუ 0,13 სული 1 ძროხაზე. მაკე ძროხის ფასად აღებულია 750 ლარი/სული. ფულადი ხარჯი იქნება $0,13 \text{ სული} \cdot 750 \text{ ლარი/სული} = 94 \text{ ლარი}/1 \text{ძროხა-წელი}$. (მთლიანი ნახირისათვის 1406 ლარი/წელი).

სტრიქონი 21 – ერთი ბულის გამოკვება-შენახვა ჯდება 200/წელი, ანუ 13 ლარი/1ძროხა-წელი.

სტრიქონი 22 – 27 – მოცემულია სხვა დანარჩენი ხარჯები როგორც 1 სულ ძროხაზე, ასევე 15 სულიან ნახირისათვის წელიწადში.

სტრიქონი 28 – ზაფხულში ხდება ძროხების გამოკვება საძოვრებზე. მისი იჯარის გადასახადია 6 ლარი/ჰა, სულ 15 ძროხას სჭირდება 50 ჰა, ე.ი. ფულადი გადასახადი იქნება $50 \text{ ჰა} \cdot 6 \text{ ლარი/ჰა} = 300 \text{ ლარი/წელი}$, ანუ 20 ლარი/1 ძროხა-წელი.

სტრიქონი 29 – სულ ცვლადი დანახარჯების ჯამი შეადგენს 443 ლარი/1ძროხა-წელი, ხოლო მთლიანი ნახირისათვის 6649 ლარი/წელი.

სტრიქონი 30 – საბოლოოდ, მარჟინალური მოგება 1 ძროხა წელიწადში ტოლია მთლიან შემოსავლებს მინუს ცვლადი დანახარჯები: $1102 - 443 = 659 \text{ ლარი}/1 \text{ძროხა-წელი}$. ხოლო მთლიანი ნახირისათვის 9880 ლარი/წელი.

მეწველი ძროხის მარჟინალური მოგების ანგარიში
(ექსტენსიური-მომთაბარე მეურნეობა)
საწყისი მონაცემები –15 ძროხა

ცხრილი 2.1

1	ძროხის ცოცხალი წონა			400		
2	ხბოების მოგებებს შორის პერიოდი			395 დღე		
3	ძროხის გამოყენების ხანგრძლივობა			8 წელი		
4	ნახირის განახლება (რემონტი)			13%		
5	დაბადებული ხბოები წელიწადში			0,92		
6	ხბოების სიკვდილიანობა წელიწადში			7%		
7	საშუალო წველადობა			1500		
1 ძროხა ნახირი						
8	წარმოებული პროდუქციის ღირებულება	ერთეული		ფასი, ლარი/ერთ.	თანხა ლარი	15 ძროხა
9		ცალი	კგ			
10	რძის წარმოება		1300	0,70	910	13650
11	ბებერი ძროხა , 2% დანაკარგი	0,11	400	3	132	1980
12	ხბოები(დაბადებ.-სიკვდილიან.)	0,85		70	60	897
13	სულ შემოსავლები				1102	16527
14	ცვლადი დანახარჯები	რაოდ-ბა. კგ		ფასი ლარი/კგ	ხარჯები, ლარი	
15						
16	ძროხის საკვები, ზამთარში 150 დღე:					
17	თივა 12კგ/ დღეში	1800		0,05	90	1350
18	ქატო 3კგ/დღეში	450		0,25	113	1687
19	საკვების მთლიანი ხარჯები				203	3037
20	სარემონტო მაკე ძროხა	0,13 ცალ/წ		750	94	1406
21	ბუღის კვება-შენახვა				13	200
22	ვეტექიმი, წამლები, ჰიგიენა				28	420
23	ხელფასი 100 ლარი/თვე				80	1200
24	ენერგია, წყალი				7	100
25	სატრანსპორტო ხარჯები				13	200
26	რეალიზაციის ხარჯი				4	60
27	გაუთვალისწინებელი				7	100
28	სამოვრის იჯარა		50 ჰა		20	300
29	ცვლადი დანახარჯები მთლიანად				468	7024

30	მარჟინალური მოგება ლარი/1ძროხა-წელიწ.		634	9503
----	--	--	------------	-------------

მოზვრების გამოზრდა-სუქების მარჟინალური მოგების ანგარიშის კომენტარი

წინამდებარე ცხრილში 2.2 მოცემულია მოზვრების ხორცის წარმოების მარჟინალური მოგების ანგარიში საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული – მომთაბარე მეურნეობების მიხედვით. მასში მოყვანილი ციფრები წარმოადგენენ ბოლო 5 წლის საშუალო მაჩვენებლებს. ცხრილში ნაჩვენებია კალკულაცია 2 წელიწადში როგორც 1 სული პირუტყვისათვის, ასევე მთლიანი ნახირისათვის (ჩვენს შემთხვევაში 10 სულისათვის, ბოლო – მარჯვენა სვეტი). ანგარიშის შედეგად მიღებული ზოგიერთი ციფრი დამრგვალებულია.

დეტალურად განვიხილოთ ცხრილის 2.2. თვითოეული სტრიქონი ცალ-ცალკე:

სტრიქონი 1– გასასუქებელი ხბოს საწყისი წონაა 70 კგ.

სტრიქონი 2 – სარეალიზაციო მოზვრებს კლავენ მაშინ, როცა მათი ცოცვალი წონა საშუალოდ მიაღწევს 300 კგ-ს.

სტრიქონი 3 – მოზვრის ნამატი 2 წლის განმავლობაში შეადგენს $300\text{კგ}-70\text{კგ}=230$ კგ.

სტრიქონი 4 – მოზვრის სუქების პერიოდი საშუალოდ გრძელდება 2 წელი, ანუ 730 დღე.

სტრიქონი 5 – გამოზრდისას და სუქებისას მოზვრის საშუალო დღიურმა წონანამატმა შეადგინა $(230\text{კგ}/730$ დღე) $\cdot 1000=315$ გრამი/დღე.

სტრიქონი 6 – დაკლული საქონლის გამოსავლიანობაა 45%.

სტრიქონი 7 – ხორცის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს $300\text{კგ}\cdot 45\%\cdot 8$ ლარი/კგ = 1080 ლარი/1 მოზვერი, ანუ მთლიანი ნახირისათვის 1080 ლარი/1 მოზვერი $\cdot 10$ სული = 10800 ლარი/2 წელი.

შესაძლო შემოსავალი ნაკელის რეალიზაციიდან ჩვენს მაგალითში განხილული არ არის.

მომდევნო სტრიქონებში განხილულია ცვლადი დანახარჯები:

სტრიქონი 8 – ორი ზამთრის სეზონზე მოზვრის კვება-დღეების რაოდენობად აღებულია $150+150=300$ დღე. თივის კვების ნორმაა დაახლოებით 8,3 კგ/1მოზვერი-დღეში. ე.ი. მოზვერს საკვებად ჭირდება $8,3$ კგ/დღე $\cdot 300$ დღე $=2500$ კგ თივა. თუ თივის ფასს საშუალოდ ავიღებთ 5 თეთრს 1 კგ-თივაზე, მაშინ საკვების ფულადი ხარჯი იქნება $2500\text{კგ}\cdot 0,05$ ლარი/კგ $=125$ ლარი/1 მოძვერზე. მთლიანი ნახირისათვის 125 ლარი/1 მოძვერზე $\cdot 10$ სული $=1250$ ლარი/2წელი.

სტრიქონი 9 – 70 კგ-იან ხბოს ღირებულება აღებულია 170 ლარი.

სტრიქონი 12-15 – მოცემულია სხვადასხვა ზედდნადები ხარჯები.

სტრიქონი 16 – სულ ცვლადი დანახარჯების ჯამი შეადგენს 330ლარი/1მოზვერი, ანუ მთლიანი ნახირისათვის $330\text{ლარი}/1\text{მოზვერი}\cdot 10$ სული $=3300$ ლარი/2 წელი.

სტრიქონი 17 – საბოლოოდ მარჟინალური მოგება 1 მოზვერზე 2 წელიწადში ტოლია მთლიან შემოსავალს მინუს ცვლადი დანახარჯები: $1080 - 330=750$ ლარი/1 მოზვერი. მთლიანი ნახირისათვის $10800-3300=7500$ ლარი/2 წელი.

სტრიქონი 18 – მარჟინალური მოგება 1 წელიწადში ტოლი იქნება $750/2=375$ ლარი/1მოზვერი – წელი. მთლიანი ნახირისათვის 3750 ლარი/ წელი

მოზვრების გამოზრდა-სუქების მარჟინალური მოგების ანგარიში

(ექსტენსიური-მომთაბარე მეურნეობა)

ერთეული; 1 მოზვერი -2 წელი

ცხრილი 2.2

საწყისი მონაცემები

1	6 თვიანი ხბოს საწყისი წონა	70 კგ
2	სარეალიზაციო მოზვრის ცოცხალი წონა	300 კგ
3	წონანამატი სუქებისას	230 კგ
4	სუქების ხანგრძლივობა	730 დღე
5	საშ დღიური წონანამატი გამოზრდისას და სუქებისას	315 გ/დღ
6	საკლავის გამოსავლიანობა	45%

1 სული მთლიანი
ნახირი

7	შემოსავალი სულ შემოსავალი ხორცის რეალიზ.	რაოდენ კგ	ფასი, ლარი,კგ	სულ თანხა ლარი/1მოზ	სულადობა 10 სული
		135	8	1080	10800
	ხარჯები				
8	მოზვრის საკვები თივა 2 ზამთრის სეზონზე	2500	0,05	125	1250
9	2 ზამთრის კვება-დღეები 300 დღე				
10	70 კგ-იანი ხბოს ღირებულება			250	2500
11	ზედნადები ხარჯები				
12	ტრანსპორტი და რეალიზაცია			10	100
13	ვეტსამსახური			26	260
14	ენერგია, წყალი			10	100
15	ფერმის მიმდინარე რემონტი			10	100
16	სულ ხარჯები			431	4310
17	მარჟინალური მოგება 1 წელიწადში			649	6490

მაწოვარა ნეზვის მარჟინალური მოგების ანგარიშის კომენტარი

წინამდებარე ცხრილში 2.4 მოცემულია მაწოვარა ნეზვის (გოჭებიანი დედა ღორი) მარჟინალური მოგების ანგარიში საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული ტექნოლოგიისათვის. მასში მოყვანილი ციფრები წარმოადგენენ ბოლო 5 წლის საშუალო მაჩვენებლებს. ცხრილში ნაჩვენებია კლაკულაცია წელიწადში, როგორც 1 სული ნეზვისათვის, ასევე დედა ღორების მთლიანი კოლტისათვის, (ჩვენს შემთხვევაში 10 სულისათვის, ბოლო მარჯვენა სვეტი). ანგარიშის ზოგიერთი შედეგები დამრგვალებულია.

მაწოვარა ნეზვის მარჟინალური მოგების ანგარიშის თანმიმდევრობა ანალოგიურია მეწველი ძროხის ანგარიშისა, ამიტომ დეტალურად ყველა სტრიქონს არ განვიხილავთ. კომენტარს ვუკეთებთ მხოლოდ ზოგიერთ სტრიქონს:

სტრიქონი 4 – ჩვენს შემთხვევაში, წელიწადში ნეზვი საშუალოდ შობს (დადოლება) 2–ჯერ. გოჭების გაჩენებს შორის პერიოდი მოიცავს დაახლოებით $365/2=182$ დღეს, რომელშიც 115 დღე ნეზვის მაკეობის ხანგრძლივობაა.

სტრიქონი 5 – ერთ დადოლებაზე ნეზვი საშუალოდ აჩენს 9 გოჭს, ანუ წელიწადში დაბადებული გოჭების რაოდენობა იქნება $2*9=18$ გოჭი/1 ნეზვი.

სტრიქონი 6 – დაბადებული გოჭებიდან, გამოზრდისას ზოგიერთი კვდება. ჩვენს შემთხვევაში დანაკარგი შეადგენს 17% (სტრიქონი 7), ანუ, საბოლოოდ, გამოზრდილი და რეალიზებული გოჭების რაოდენობა იქნება $18-18*17\%=15$ გოჭი/1 ნეზვი–წელი.

სტრიქონი 8 – გოჭებს დედასთან აჩერებენ 40 დღის განმავლობაში. შემდეგ ხდება გოჭების ასხლეტა და მათი ხელოვნური გამოკვება 20 დღის განმავლობაში (სტრიქონი 9).

სტრიქონი 10 – 60 დღიანი გოჭები საშუალოდ აღწევენ 12 კილოგრამს, რომელთა ნაწილიც გადაირჩევა საჯიშეთ, ხოლო ნაწილს კი ზრდიან და ასუქებენ ხორცის საწარმოებლად.

სტრიქონი 14 – კოლტის ბრუნვა ტილია $1/2,5$ წელი = 0,4 (ანუ 40%). ნეზვების სიკვდილიანობა წელიწადში შეადგენს 2%, ე.ი. 100 სულიდან კვდება 2 სული. საბოლოოდ გამოწუნებული ბებერი ნეზვების რაოდენობა იქნება $40-2=38$ სული ყოველ 100 სულ ნეზვზე. საბოლოოდ, ანუ $0,38$ სული ყოველ 1 ნეზვზე. შემოსავალი ბებერი ნეზვის ხორციდან იქნება $0,38*360$ ლარი/1 ნეზვი = 136 ლარი.

სტრიქონი 19 – როგორც ზემოთ (სტრიქონი 14) ავღნიშნეთ, კოლტის განახლებისათვის ყოველ წელს გვჭირდება 40 სული სარემონტო მაკე ნეზვი ყოველ 100 სულზე, ანუ 0,40 სული 1 ნეზვზე. მაკე ნეზვის ფასად აღებულია 390 ლარი/სული. ფულადი ხარჯი იქნება $0,40$ სული*390ლარი/სული = 156 ლარი/1 ნეზვი–წელი (მთლიანი კოლტისათვის) 1560 ლარი/წელი.

სტრიქონი 21 – ნეზვს დღეში საშუალოდ ეძლევა 4 კილოგრამი კონცენტრირებული საკვები (სანიმუშო რეცეპტი ქვემოთაა მოცემული). წელიწადში ნეზვის მიერ მოხმარებული საკვების რაოდენობაა 4 კგ/დღე*365 = 1460კგ.

სტრიქონი 36 – საბოლოოდ, მარჟინალური მოგება 1 ნეზვზე წელიწადში ტოლია მთლიანი შემოსავლებს მინუს ცვლადი დანახარჯები: $1036-726=310$ ლარი/1ნეზვი წელიწადში (მთლიანი კოლტისათვის $10360-7260 = 3100$ ლარი/წელი).

მაწოვარა ნეზვის (დედა ღორის) მარჟინალური მოგების ანგარიში

ერთეული – 1 ნეზვი წელიწადში

საწყისი მონაცემები

ცხრილი 2.3

1	მაწოვარა ნეზვი გოჭებით	
2	ცოცხალი წონა	130
3	გამოყენების ხანგრძლივობა	2,5 წელი
4	დადოლების ხანგრძლივობა	2 წელიწადში
5	დაბადებული გოჭების რაოდენობა	18,0 წელიწადში
6	გამოზრდილი გოჭების რაოდენობა	15,0 წელიწადში
7	დანაკარგები გამოზრდისას	17%
8	წოვების ხანგრძლივობა	40 დღე
9	გამოზრდის ხანგრძლივობა	20 დღე
10	სარეალიზაციო გოჭების წონა	12 კგ

1 ძროხა კოლტი

11	წარმოებული პროდუქციის ღირებულება	ერთეული		ფასი, ლარი/ერთ.	თანხა ლარი	10 სული
		ცალი	კგ			
12	გოჭების რეალიზაცია	15		60	900	9000
13	ბებერი ნეზვის რეალიზაცია 2% დანაკარ.	0,38		360	136	1360
14	სულ შემოსავლები				1036	10360
16	ცვლადი დანახარჯები	ცალი	რაოდ-ბა. ცალი	ფასი ლარი/კგ	ხარჯები, ლარი	
17						
19	სარემონტო მაკე ნეზვი	0,4		390	156	1560
20	გოჭების დამატებითი საკვები 2 თვის განმავლ.		240	0,15	36	360
21	ნეზვის საკვები მთლიანად		1460		203	3037
22	ქერი - 50%		730	0,32	234	2336
23	ქათო - 42%		613	0,25	153	1533
24	კოფტონი - 5%		73	0,3	22	219
25	მინერ. საკვები - 3%		44	1	44	438
26	საკვების მთლიანი ხარჯები				489	4886
27	კერატის გამოკვება				28	281
28						
29	ვეტექიმი, წამლები , ჰიგიენა				10	100
30	ენერგია , წყალი				15	150
31	სატრანსპორტო ხარჯები				15	150
32	რეალიზაციის ხარჯები				3	30
33	ფერმის შენობის მიმდინარე რემონტები				10	100
34	ცვლადი დანახარჯები მთლიანად				726	7257
35						
36	მარჟინალური მოგება, ლარ/1ნეზვი წელიწადში				260	2600

ღორის სუქების მარჟინალური მოგების ანგარიშის კომენტარი

წინამდებარე ცხრილში 2.4 მოცემულია ღორის ხორცის წარმოების მარჟინალური მოგების ანგარიში საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული ტექნოლოგიის შემთხვევისათვის. მასში მოყვანილი ციფრები წარმოადგენენ ბოლო 5 წლის საშუალო მაჩვენებლებს. ცხრილში ნაჩვენებია კლაკულაცია წელიწადში როგორც 1 სული ღორისათვის, ასევე მთლიანი კოლტისათვის (ჩვენს შემთხვევაში 20 სულისათვის, ბლო – მარჟენა სვეტი). ანგარიშის შედეგად მიღებული ზოგიერთი ციფრი დამრგვალებულია.

დეტალურად განვიხილოთ ცხრილის 2.4. თვითოეული სტრიქონი ცალ-ცალკე:

სტრიქონი 1 – გასუქებული გოჭის საწყისი წონაა 12 კგ.

სტრიქონი 2 – სარეალიზაციო ღირებულებას კლავენ მაშინ, როცა მათი ცოცხალი წონა საშუალოდ მიაღწევს 90 კგ-ს.

სტრიქონი 3 – ღორის ნამატი 1 წლის განმავლობაში შეადგენს $90-12=78$ კგ-ს.

სტრიქონი 4 – ღორის სუქების პერიოდი საშუალოდ შეადგენს 8 თვეს, ანუ 240 დღე.

სტრიქონი 5 – გამოზრდისას და სუქებისას ღორის საშუალო დღიურმა ნამატმა შეადგინა $(78\text{კგ}/240\text{ დღე} * 1000=325\text{ გრამი}/\text{დღეში})$.

სტრიქონი 6 – დაკლული ღორის გამოსავლიანობაა 70%.

სტრიქონი 7 – 1 კგ ღორის ხორცის წარმოებაზე იხარჯება 5 კგ კომბინირებული საკვები.

სტრიქონი 8 – ხორცის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს $90\text{კგ}*70\%*8\text{ლარი/კგ}=504\text{ლარი}/1\text{ ღორი}$, ანუ მთლიანი კოლტისთვის $504*20=10080\text{ლარი}/240\text{ დღე}$.

შესაძლო შემოსავალი ნაკელის რეალიზაციიდან ჩვენს მაგალითში განხილული არ არის მომდევნო სტრიქონებში გახილულია ცვლადი დანახარჯები:

სტრიქონი 9 – თუ 1 კგ ხორცის წონანამატისათვის საჭიროა 5 კგ საკვები, ხოლო ხორცის მთლიანი წონანამატი კი შეადგენს 78 კგ-ს, მაშინ ერთი სული ღორის გამოსაკვებდ სულ საჭირო იქნება $5*78=390$ კგ კომბინირებული საკვები.

სტრიქონი 10–13 – ღორის საკვები რაციონის შემადგენელი თვითოეული კომპონენტის მიხედვით დათვლილია საკვების მთლიანი ხარჯი.

სტრიქონი 14 – 12 კგ-იანი გოჭის ღირებულებად აღებულია 60 ლარი.

სტრიქონი 15–19 – მოცემულია სხვადასხვა ზედნადები ხარჯები.

სტრიქონი 20 – სულ ცვლადი დანახარჯების ჯამი შეადგენს 220 ლარი/1 ღორი*20 სული = 4392 ლარი/240 დღე.

სტრიქონი 21 – საბოლოოდ, მარჟინალური მოგება 1 ღორზე ციკლის ანმავლობაში (240 დღე) ტოლია მთლიან შემოსავლებს მინუს ცვლადი დანახარჯები: $504-220=284$ ლარი/1ორი. მთლიანი კოლტისთვის $10080-4392=5688\text{ლარი}/240\text{დღე}$.

მარჟინალური მოგების ანგარიში ღორების სუქებისას

ერთეული – 1 ღორი წელიწადში

საწყისი მონაცემები

ცხრილი 2.4

1	გოჭის წონა	12 კგ
2	სარეალიზაციო ღორის წონა	90 კგ
3	წონამატი სუქებისას	78 კგ
4	სუქების ხანგრძლივობა	240 დღე
5	საშ. დღიური წონამატი გამოზრდისას და სუქებისას	325გ/დღე
6	საკლავის გამოსავლიანობა	70%
7	1 კგ წონამატისათვის საჭიროა	5 კგ საკვები

1 ღორი კოლტი

	წარმოებული პროდუქციის ღირებულება	ერთეული		ფასი, ლარი/ერთ.	თანხა ლარი	10 სული
			კგ			
8			63	8	504	10080
	ცვლადი დანახარჯები		რაოდ-ბა. ცალი	ფასი ლარი/კგ	ხარჯები, ლარი	
9	ნეზვის საკვები მთლიანად		390			
10	ქერი - 70%		373	0,32	87	1747
11	ქათო - 15%		59	0,25	15	293
12	კოფტონი - 12%		47	0,3	14	281
13	მინერ. საკვები - 3%		12	1,5	18	351
14	12 კგ-იანი გოჭის ღირებულება				60	1200
	საკვების მთლიანი ხარჯები					
15	ზედნადები ხარჯები					
16	სატრანსპ. ხარჯები და რეალიზია				8	150
17	ვეტექიმი, წამლები , ჰიგიენა				5	100
18	ენერგია , წყალი				8	150
19	ფერმის მიმდინარე რემონტები				6	120
	ცვლადი დანახარჯები მთლიანად				220	4392
	მარჟინალური მოგება, ლარ/1ნეზვი წელიწადში				284	5688

კვერცხმდებელი დედლების მარჟინალური მოგების ანგარიშის კომენტარი

წინამდებარე ცხრილში 2.5 მოცემულია სამრეწველო ჯიშის ქათმის კვერცხის წარმოების მარჟინალური მოგების ანგარიში საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული ტექნოლოგიის შემთხვევისათვის. მასში მოყვანილი ციფრები წარმოადგენენ ბოლო 5 წლის საშუალო მაჩვენებლებს. ცხრილში ნაჩვენებია გაანგარიშება 1000 ფრთიანი ფერმისათვის 1 წლის განმავლობაში. კვერცხისმდებელი დედლების ყოლა ხდება გალიებში. ანგარიშის შედეგად მიღებული ზოგიერთი ციფრი დამრგვალებულია.

დეტალურად განვიხილოთ ცხრილის 2.5 თვითოეული სტრიქონი ცალ-ცალკე:

სტრიქონი 1 – სამრეწველო ჯიშის ქათამი კვერცხის დებას იწყებს საშუალოდ 4,5 თვის შემდეგ. ის შეიძლება იყოს ნაყიდი, ან საკუთარ ფერმაში გამოზრდილი.

სტრიქონი 2 – ჩასმული ვარიების საწყისი რაოდენობაა 1000 ფრთა.

სტრიქონი 3 – ბებერი (ამორტიზირებული) დედლების საბოლოო რაოდენობაა 850 ფრთა, ანუ მათი გამოყენების პერიოდში ადგილი ქონდა ქათმების სიკვდილიანობას.

სტრიქონი 4 – ჩვენს შემთხვევაში წლიური დანაკარგების ნორმად აღებულია ვარიების საწყისი რაოდენობის 15%, ანუ $1000 - 1000 * 15\% = 1000 - 150 = 850$ ფრთა.

სტრიქონი 5 – აქვე გამოთვლილია წლის განმავლობაში დედლების საშუალო (მიმდინარე) რაოდენობა $(1000 + 850) / 2 = 925$ ფრთა.

სტრიქონი 6 – დედლების გამოყენების (ეკონომიკურად გამართლებული) ხანგრძლივობაა 12 თვე. შემდეგ ხდება ამორტიზირებული ქათმების გაყიდვა მოსახლეობაზე, ან კვების ობიექტებზე. თუმცა არის ისეთი ჯიშებიც, რომელთაც 15 თვის განმავლობაში იყენებენ.

სტრიქონი 7 – კვერცხმდებლობა ტოლია 72%, რაც ნიშნავს: ერთი დედალი წელიწადში საშუალოდ დებს $365 * 72\% = 263$ ცალ კვერცხს.

სტრიქონი 10 – სულ წელიწადში წარმოებული კვერცხის რაოდენობა იქნება 925 ფრთა $* 365$ დღე $* 72\% = 243090$ ცალი. მათი რალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ტოლია: 243090 ცალი/წელი $* 0,30$ ლარი/ცალი = 72927 ლარი/წელი.

სტრიქონი 11 – ერთი წლის შემდეგ ხდება ბებერი (ამორტიზირებული) დედლების ჩანაცვლება ახალგაზრდა (4,5 თვიანი) ვარიებით. ბებერ დედლებს ყიდვიან მოსახლეობაზე, ან კვების ობიექტებზე და მიღებული შემოსავალი ტოლია 850 ფრთა $* 10$ ლარი/ფრთა = 85010 ლარი.

შემდეგ სტრიქონებში მოცემულია ცვლადი დანახარჯები:

სტრიქონი 15 – დედალს დელდამეში საშუალოდ ჭირდება 130 გრამი სპეციალური, დაბალანსებული კომბინირებული საკვები, რომლის შეწონილი ფასია დაახლოებით 0,63 ლარი. ე.ი. დედლის საკვების ხარჯი ტოლია: 925 ფრთა $* 0,13$ კგ/დღე $* 0,63$ ლარი/კგ = 27651 ლარი.

სტრიქონი 16 – ჩვენს შემთხვევაში საკუთარ ფერმაში ხდება სადედლე ვარიების (4,5 თვემდე) გამოზრდა. მის თვითღირებულებად არებულია 5,5 ლარი/ფრთა. სულ ფულადი ხარჯი ტოლი იქნება: 1000 ფრთა $* 5,5$ ლარი/ფრთა = 5500 ლარი.

სტრიქონი 17–21 – ამ სტრიქონებში ნაჩვენებია სხვა საერთო ხარჯები.

სტრიქონი 22 – სულ ცვლადი ხარჯების ჯამი 1 წელიწადში ტოლი იქნება 40191 ლარი.

სტრიქონი 23 – საბოლოოდ, მარჟინალური მოგება 1000 ფრთაზე 1 წლის განმავლობაში ტოლია მთლიან შემოსავლებს მინუს ცვლადი დანახარჯები: $81427 - 40191 = 41236$ ლარი/1000 ფრთა.

კვერცხმდეები დედლების მარჟინალური მოგების ანგარიში

ერთეული – 1000 დედალი წელიწადში

საწყისი მონაცემები

ცხრილი 2.5

1	კვერცხის დებას იწყებენ 4,5 თვის შემდეგ				
2	ვარიების საწყისი რაოდენობა			1000 ფრთა	
3	დედლების რაოდენობა წლის ბოლოს			850 ფრთა	
4	დანაკარგები			15%	
5	დედლების საშუალო (მიმდინარე) რაოდენობა			925 ფრთა	
6	კვერცხის დების ხანგრძლივობა			12 თვე	
7	კვერცხმდებლობა			72%	
8	წარმოებული პროდუქციის ღირებულება	რაოდენობა	ერთეული	ფასი, ლარი/ერთ.	თანხა ლარი
9					
10	კვერცხების რეალიზაცია წელიწადში	243090	ცალი	0,30	72927
11	ბებერი დედლების რეალიზაცია	850	ფრთა	10	8500
12	სულ წარმოებული პროდუქცია				81427
13					
14	ცვლადი დანახარჯები				
15	კომბინირებული საკვები 0,13 კგ/დღ.დ	43891	კგ	0,63	27651
16	სადედლე ვარიების თვითღირებულება	1000	ფრთა	5,5	5500
17	მომვლელის ხელფასი 120ლარი/თვეში				1440
18	წამლები, აცრები, ვეტერინარი				600
19	სატრანსპორტო ხარჯები 150ლარი/თვეში				1800
20	ენერგია, წყალი 250ლარი/თვეში				3000
21	ფერმის შენობის რემონტი				200
22	სულ ცვლადი ხარჯები				40191
	მარჟინალური მოგება, ლარ/1000 ფრთა წელიწადში				41236

სატბორე მეურნეობის მარჟინალური მოგების ანგარიშის კომენტარი

წინამდებარე ცხრილში 2.6. მოცემულია ტბორში თევზის ხორცის წარმოების მარჟინალური მოგების ანგარიში საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული ტექნოლოგიის შემთხვევისათვის. მასში მოყვანილი ციფრები წარმოადგენენ ბოლო 5 წლის საშუალო მაჩვენებლებს. ცხრილში მოყვანილი ანგარიში მოიცავს 1 წელიწადს, როცა 1ჰა ზედაპირის ფართობის მქონე ტბორში ზრდიან 3 სახეობის თევზს (პოლიკულტურა).

ანგარიშის შედეგად მოღებული ზოგიერთი ციფრი დამრგვალებულია.

დეტალურად განვიხილოთ ცხრილის 2.6 თვითოეული სტრიქონი ცალ-ცალკე:

სტრიქონი 1 – 35 გრამიანი ლიფსიტების ჩასმის სიმჭიდროვეა 2300 ცალი 1 ჰექტარზე.

სტრიქონი 2 – რეალიზებული თევზების საბოლოო რაოდენობაა 1909 ცალი, ანუ გამოზრდა-სუქების პერიოდში ადგილი ქონდა თევზების სიკვდილიანობას.

სტრიქონი 3 – ჩვენს შემთხვევაში, წლის განმავლობაში დანაკარგების ნორმად აღებულია თევზების საწყისი რაოდენობის 17%, ანუ $2300 - 2300 * 17\% = 2300 - 391 = 1909$ ცალი თევზი.

სტრიქონი 4-6 – ამ სტრიქონებში მოცემულია კობრის, სქელშუბლასა და ტეთრი ამურის პროცენტული ნორმები ტბორში თევზების საერთო რაოდენობიდან. მაგ.; კობრის ლიფსიტების ჩასმის საწყისი რაოდენობაა $2300 \text{ ცალი} / 3\text{ა} * 70\% = 1610$ კობრი/3ა.

სტრიქონი 7 – სარეალიზაციო თევზის საშუალო წონაა 1,2 კგ.

სტრიქონი 10-12 – ნაჩვენებია შემოსავლები თევზის ცალკეული სახეობების მიხედვით. მაგ., გასაყიდი კობრის საერთო წონა იქნება $1909 \text{ ცალი} / 3\text{ა} * 79\% * 1,2 \text{ კგ} / 3\text{ა} = 1604$ კგ/3ა, ხოლო ფულადი შემოსავალი $1604 \text{ კგ} / 3\text{ა} * 5 \text{ ლარი} / \text{კგ} = 8020$ ლარი/3ა.

სტრიქონი 13 – სულ მთლიანი შემოსავალი თევზის რეალიზაციიდან ტოლია: $8020 + 2748 + 916 = 11684$ ლარი/3ა.

შემდეგ სტრიქონებში მოცემულია ცვლადი დანახარჯები:

სტრიქონი 17– 35 გრამიანი ლიფსიტების საჭირო ხარჯი შეადგენს $2300 \text{ ცალი} / 3\text{ა} * 0,4 \text{ ლარი} / \text{ცალი} = 920$ ლარი/3ა.

სტრიქონი 18 – იმისათვის, რომ წლის განმავლობაში 35 გრამიანმა ლიფსიტამ მიაღწიოს 1,3 კგ-ს, საშუალოდ საჭიროა 5კგ საკვები ერთ თევზზე. ანუ, სულ საჭირო საკვების რაოდენობა იქნება თევზების საშუალო რაოდენობა წლის განმავლობაში გამრავლებული 5 კგ-ზე: $5 * (2300 + 1909) / 2 = 10523$ კგ საკვები.

სტრიქონი 19-20 – მაგალითად კოფტონის ფულადი ხარჯია: $10523 \text{ კგ} * 50\% * 0,30 \text{ ლარი} / \text{კგ} = 1578$ ლარი/3ა.

სტრიქონი 24-28 – ამ სტრიქონებში ნაცვენებია სხვა საერთო ხარჯები.

სტრიქონი 29 – სულ ცვლადი ხარჯების ჯამი 1 წელიწადში ტოლი იქნება 6260 ლარი/3ა.

სტრიქონი 30 – საბოლოოდ, მარჟინალური მოგება 1 ჰექტარზე 1 წლის განმავლობაში ტოლია მთლიან შემოსავლებს მინუს ცვლადი დანახარჯები: $11684 - 6250 = 5434$ ლარი/3ა.

სატბორე მეურნეობის მარჟინალური მოგების ანგარიში

ერთეული – 1 ჰა წელიწადში

საწყისი მონაცემები

ცხრილი 2.6

1	35 გრამიანი ლიფსიტების საწყისი რაოდენობა	2300 ცალი			
2	სარეალიზაციო თევზების საბოლოო რაოდენობა	1909 ცალი			
3	დანაკარგები	17%			
4	კობრის პროცენტული წილი	70%			
5	სქელშუბლას პროცენტული წილი	20%			
6	თეთრი ამურის პროცენტული წილი	10%			
7	სარეალიზაციო თევზის საშუალო წონა	1,2 კგ			
8	შემოსავლები	რაოდენ		ფასი,	თანხა ლარი
9	თევზის რეალიზაცია; აქედან:	ობა, კგ		ლარი/ერთ.	
10	კობრი	1604		5	8020
11	სქელშუბლა	458		6	2748
12	თეთრი ამური	229		4	916
13	სულ წარმოებული პროდუქცია				11684
14					
15					
16	ცვლადი დანახარჯები				
17	35 გრამიანი ლიფსიტები	2300		0,40	920
18	საკვები: სულ	10523			
19	კოფტონი 50%	5261		0,30	1578
20	ქერი 50%	5261		0,35	1841
21	სულ ხარჯები საკვებზე და ლიფსიტებზე				4340
22					
23	სხვა საერთო ხარჯები:				
24	სატრანსპორტო				500
25	ყარაული და მომვლელი	80 ლარი/თვე			960
26	თევზის დამჭერები	1კაცი; 100ლარი/კაცი			100
27	დეზინფექცია				50
28	რეალიზაცია				300
29	სულ ხარჯები:				6250
30	მარჟინალური მოგება, ლარ/1 ჰა წელიწადში				5434

საკალმახე მეურნეობის მარჟინალური მოგების ანგარიშის კომენტარი

წინამდებარე ცხრილში 2.7. მოცემულია ავზებში კალმახის გამოზრდა-რეალიზაციის მარჟინალური მოგების ანგარიში საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული ტექნოლოგიის შემთხვევისათვის. მასში მოყვანილი ციფრები წარმოადგენენ ბოლო 5 წლის საშუალო მაჩვენებლებს. ცხრილში მოყვანილი ანგარიში 10000 ცალ კალმახს, ხოლო ერთი ციკლის ხანგრძლივობაა 9 თვე. ანგარიშის შედეგად მოღებულ ზოგიერთი ციფრი დამრგვალებულია. დეტალურად განვიხილოთ ცხრილის 2.6 თვითოეული სტრიქონი ცალ-ცალკე:

სტრიქონი 1 – 5 გრამიანი ლიფსიტების საწყისი რაოდენობაა 10000 ცალი.

სტრიქონი 2 – რეალიზებული თევზების საბოლოო რაოდენობაა 8500 ცალი, ანუ გამოზრდა-სუქების პერიოდში ადგილი ქონდა თევზების სიკვდილიანობას.

სტრიქონი 3 – ჩვენს შემთხვევაში, ციკლის (9თვე) დანაკარგების ნორმად აღებულია თევზების საწყისი რაოდენობის 15%, ანუ $10000 - 10000 * 15\% = 10000 - 1500 = 8500$ ცალი კალმახი.

სტრიქონი 4-5 კალმახის 5 გრამიანი ლიფსიტა 9 თვის განმავლობაში აღწევს თავის სარეალიზაციო წონას – 0,2 კგ (200გრ)

სტრიქონი 6 – ერთი კგ. კალმახის წონამატისათვის საჭიროა 1,2 კგ. სპეციალური საკვები.

სტრიქონი 9 – ციკლის ბოლოს, სულ კალმახების საერთო წონა იქნება $8500 * 0,2 = 1700$ კგ-ს. ხოლო შემოსავალი – $1700 * 10 \text{ლარი/კგ} = 17000$ ლარი/9თვე.

შემდეგ სტრიქონებში მოცემულია ცვლადი დანახარჯები:

სტრიქონი 14 – 5 გრამიანი ლიფსიტების თვითღირებულებაა $10000 \text{ცალი} * 0,18 \text{ლარი/ცალი} = 1800$ ლარი.

სტრიქონი 15 – ციკლის განმავლობაში საჭირო საკვების რაოდენობა ტოლია კალმახების საშუალო რაოდენობა გამრავლებული მათ სარეალიზაციო წონაზე და 1 კგ წონამატისათვის საჭირო საკვების

რაოდენობაზე: $\left| \frac{10000 \text{ცალ} + 8500 \text{ცალ}}{2} \right| = 2220 \text{კგ}$. საკვების ფულადი ხარჯი ტოლია $2220 \text{კგ} * 2,8 \text{ლარი/კგ} = 6216 \text{ლარი}$.

სტრიქონი 16-19 – ამ სტრიქონებში ნაცვენებია სხვა საერთო ხარჯები.

სტრიქონი 20 – სულ ცვლადი დანახარჯების ჯამი შეადგენს 9 თვის განმავლობაში 10036 ლარს.

სტრიქონი 22 – საბოლოოდ, მარჟინალური მოგება 9 თვის განმავლობაში ტოლია მთლიან შემოსავლებს მინუს ცვლადი დანახარჯები: $17000 - 10036 = 6964 \text{ლარი/3ა}$.

საკალმახე მეურნეობის მარჟინალური მოგების ანგარიში

ერთეული – 10000 ცალი კალმახი წელიწადში

საწყისი მონაცემები

ცხრილი 2.7

1	ლიფსიტების საწყისი რაოდენობა			10000 ცალი	
2	სარეალიზაციო თევზების საბოლოო რაოდენობა			8500 ცალი	
3	დანაკარგები			15%	
4	ციკლის ხანგრძლიობა			8 თვე	
5	სარეალიზაციო თევზის საშუალო წონა			0,2 კგ	
6	1 კგ წონამატისათვის საჭირო საკვები			1,2 კგ	
7	შემოსავლები	რაოდენობა, კგ		ფასი, ლარი/ერთ.	თანხა ლარი
8					
9	თევზის რეალიზაცია:	1700		10	17000
10	სულ წარმოებული პროდუქცია				17000
11					
12	ცვლადი ხარჯები				
13					
14	5გრ ლიფსიტების თვითღირებულება	1000	ცალი	0,18	1800
15	საკვები	2220	კგ	2,8	6216
16	წამლები				300
17	ყარაული და მომვლელის ხელფასი	80 ლარი/თვე			720
18	სატრანსპორტო ხარჯები				500
19	ავზების რემონტი				500
20	სულ ხარჯები				10036
30	მარჟინალური მოგება, ლარ/10000 ცალი 9 თვეში				6964

100 ოჯახიანი საფუტკრე მეურნობის მოსაწყობად საჭირო ინვენტარი
და მათი ღირებულება

ცხრილი 2.8

№	დასახელება	რაოდენობა, ცალი	ერთეულის ფასი, ლარი	სულ თანხა, ლარი
1	ფუტკრის ოჯახი (სკა) საკუჭნაოთი	100	150	15000
2	სათადარიგო სკა	25	45	1125
3	სათადარიგო საკუჭნაო	25	15	75
4	სკის ბალიში	100	3	300
5	ტილო	100	2	200
6	სკის სადგამი	100	5	500
7	ხელოვნური ფიჭა	250	1,2	300
8	საკვამური (საბოლბელი)	2	15	30
9	საჭრეთელი	2	5	10
10	პირბადე	2	6	12
11	მეფუტკრის დანა	2	6	12
12	ჯაგრისი	2	3	6
13	სადედე გალია	5	2	10
14	დედის დასატყვევებელი გალია	5	5	25
15	სამუშაო ყუთი	1	25	25
16	ფიჭის ჩასაკვრელი გორგოლაჭი	1	5	5
17	ფიჭის ჩასაკვრელი ფიცარი	1	5	5
18	სანაყრე ყუთი	2	5	10
19	მავთულის კოჭა	2	5	10
20	ასათლედი დანა	2	5	10
21	გამოსაწერი ციბრუტი	1	90	90
22	საკონტროლო სასწორი	1	50	50
23	ალუმინის ტარა	40	30	1200
24	ქვაბი	2	10	20
25	წამლები			100
სულ ჯამი				19105

თავი III დანართები

დანართი 3.1

საკვები ელემენტების ნორმები ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ

კულტურების დასახელება	მოსავალი ც/ჰა	საკვები ელემენტების ნორმა			თესვის ან ვეგეტაციის წინ	I გამოკვება	II-გამოკვება
		<i>N</i>	<i>P₂O₅</i>	<i>K₂O</i>			
საშ. ხორბალი, ქერი, შვრია	25-30	90-120	60-90	60-90	40	40	40
სიმინდი	25-50	90-120	60-90	60-90	40	40	40
კარტოფილი	200-300	90-120	90-120	90-120	40-90	20-30	-
მზესუმზირა	15-20	90-120	60-90	60-90	60-80	15-20	15-20
ვენახი	90	90-120	60-90	60-90	60-80	30-40	
ხეხილი	120	90-120	60-90	60-90	60-80	30-40	
კომბოსტო	250-500	90-120	60-90	60-90	50-60	20-30	20-30
შაქრის ჭარხალი	300-600	120-180	90-180	150-250	90-120	15-30	15-30
ციტრუსი	250-500	120-200	100	120	80	60	60
პომიდორი	200-300	60-90	60-90	80-100	35-55	15	15-20
კიტრი	200-300	60-90	60-90	80-100	35-55	15	15-20
ბადრიჯანი	200-300	60-90	60-90	80-100	35-55	15	15-20
სტაფილო	200-300	60-90	60-90	80-100	35-55	15	15-20

დანართი 3.2

საკვები ნივთიერებების გამოტანა მემინდვრობის კულტურების მიერ.

მმ.ნ–მშრალი ნივთიერება

მინდვრის კულტურა	ძირითადი მოსავალი							თანამდევნი მოსავალი								
	ერთეული	სახე	მმ.ნ	N	P ₂ O ₅	K ₂ O	MgO	CaO	სახე	მმ.ნ	N	P ₂ O ₅	K ₂ O	MgO	CaO	წილი
მარცვლეული			%													
ხორბალი	1ცენტ	მარცვ	86%	2,2	0,8	0,6	0,2	0,1	ნამჯა	86%	0,5	0,26	0,9	0,1	0,4	1,3
სიმინდი	1ცენტ	მარცვ	86%	1,5	0,8	0,3	0,2	0,1	ნამჯა	86%	0,7	1,21	1,5	0,3	0,5	1,4
შვრია	1ცენტ	მარცვ	86%	1,5	0,8	0,6	0,2	0,1	ნამჯა	86%	0,7	0,18	2,0	0,1	0,4	1,8
ქერი	1ცენტ	მარცვ	86%	1,7	0,8	0,6	0,2	0,1	ნამჯა	86%	0,5	0,52	1,9	0,2	0,5	1,0
ჭვავი	1ცენტ	მარცვ	86%	1,5	0,8	0,6	0,2	0,2	ნამჯა	86%	0,8	0,21	2,5	0,1	0,5	1,4
ძირხვეწა-ტუბერ.																
შაქრის ჭარხალი	1ცენტ	ჭარხა	23%	0,1	0,1	0,2	0,1	0,1	ფოთ.	16%	0,3	0,11	0,6	0,1	0,3	0,6
კარტოფილი	1ცენტ	კარტ.	23%	0,3	0,2	0,6	0,1	0,1	ფოთ.	26%	0,3	0,06	0,4	0,3	0,6	0,3
პარკოსნები																
მინდვრ. ლობიო	1ცენტ	მარცვ	86%	4,1	1,1	1,4	0,2	0,2	ნამჯა	86%	0,7	0,15	1,3	0,3	1,6	1,0
სამარცვ. ბარდა	1ცენტ	მარცვ	86%	5,0	1,0	1,2	0,2	0,1	ნამჯა	86%	1,1	0,21	1,8	0,5	2,8	1,0
საკვები კულტ.	მთ. მც. – მთლიანი მცენარე															
სასილოსე სიმინ.	1ცენტ	მთ. მც	100	1,3	0,7	1,7										
სამყურა	1ცენტ	მთ. მც	100	2,6	0,8	3,0										
იონჯა	1ცენტ	მთ. მც	100	3,6	0,8	3,3										
საკვები შვრია	1ცენტ	მთ. მც	100	1,6	0,7	2,8										
სამოვრის ბალახი	1ცენტ	მთ. მც	100	2,6	0,9	3,7										
სამოვარ-სათიბებ																
სამოვ. ოპტიმალ.	1ცენტ	მთ. მც	100	3,0	0,9	3,0										
სამოვ. ექსტენც.	1ცენტ	მთ. მც	100	2,8	0,8	2,8										
სათიბი-4 თიბვა	1ცენტ	მთ. მც	100	2,9	0,8	2,4										
სათიბი-3 თიბვა	1ცენტ	მთ. მც	100	2,5	0,8	2,4										
სათიბი-2 თიბვა	1ცენტ	მთ. მც	100	1,7	0,5	2,0										
მინდ. ბოსტ-ლი	ძრ. საქ – ძირითადი საქონელი							მ. ნარ. მოსავლის ნარჩენები								
ყვავ. კომბოსტო	1ცენტ	ძრ. საქ	10%	0,4	0,2	0,5	0,1		მ. ნარ	10%	0,2	0,1	0,5	0,1		0,7
ბუჩქა ლობიო	1ცენტ	ძრ. საქ	13%	0,4	0,1	0,4	0,1		მ. ნარ	13%	0,3	0,1	0,5	0,1		0,6
ბარდა	1ცენტ	ძრ. საქ	6,7%	1,0	0,4	0,7	0,1		მ. ნარ	10%	0,3	0,1	0,4	0,1		2,5
სტაფილო	1ცენტ	ძრ. საქ	10%	0,2	0,1	0,5	0,1		მ. ნარ	33%	0,7	0,1	1,7	0,2		0,3
კიტრი	1ცენტ	ძრ. საქ	33%	0,1	0,1	0,3	0,1		მ. ნარ	17%	3,7	0,1	0,4	0,1		0,6
წითელი ჭარხალ	1ცენტ	ძრ. საქ	16%	0,3	0,2	0,4	0,1		მ. ნარ	16%	0,3	0,1	0,8	0,1		0,3
ხახვი	1ცენტ	ძრ. საქ	20%	0,2	0,1	0,2	0,1		მ. ნარ	20%	0,4	0,2	1,0	0,2		0,1

დანართი 3.3

კომბინირებული საკვების სანიმუშო რეცეპტი მაკე ნეზვებისათვის

კომპონენტები	კომბინირებული საკვების სხვადასვა ვარიანტები					
	I	II	III	IV	V	VI
შემადგენლობა %-ში						
ქერი	54,0	40,0	50,0	41,0	58,0	60,0
შვრია	–	–	10,0	–	–	–
ხორბალი	20,0	–	5,0	–	–	20,0
ჭვავი	–	20,0	–	20,0	20,0	–
მშრალი მყომი	–	17,0	10,0	17,0	–	–
ხორბლის ქატო	–	10,0	–	10,0	10,0	12,0
ბალახის ფქვილი	20,0	–	20,0	–	–	–
სოიოს შროტი	3,0	8,0	3,0	8,0	7,0	5,0
ლუდის საფუარი	–	2,0	–	2,0	2,0	–
მინერალური საკვები	3,0	3,0	2,0	2,0	3,0	3,0

დანართი 3.4

კომბინირებული საკვების სანიმუშო რეცეპტი ახლად ასხლეტილი გოჭებისათვის

კომპონენტები	კომბინირებული საკვების სხვადასვა ვარიანტები							
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
შემადგენლობა %-ში								
ქერი	32	–	–	19,0	20,0	43,0	–	20,0
ტრეტეკალი		30,0	–	–	–	–	25,0	–
ხორბალი	35,0	36,0	20,0	–	20,0	15,0	–	25,0
ჭვავი	–	–	–	–	–	10,0	–	–
სიმინდის მარცვალი					24,0			19,0
ხორბალი პროპიონის მჟავით	–	–	–	40,0	–	–	–	–
სიმინდი პროპიონის მჟავით	–	–	41,0	–	–	–	40,0	–
ხორბლის ქატო	–	5,0	5,5	3,0	–	–	–	–
სოიოს შროტი	26,0	22,0	17,0	20,0	20,0	16,0	19,0	30,0
სოიოს ზეთი	2,0	2,0	5,0	6,0	6,0	5,0	4,0	2,0
თევზის ფქვილი	–	–	6,5	5,0	5,0	6,0	8,0	–
მინერალური საკვები	5,0	5,0	5,0	5,0	5,0	5,0	4,0	4,0

დანართი 3.5

კომბინირებული საკვების სანიმუშო რეცეფტები კვერცხმდებელი დედლებისათვის [6]

კომონენტები	კომბინირებული საკვების სხვადასხვა ვარიანტები				
	I	II	III	IV	V
შემადგენლობა %-ში					
საკვები პარკოსნები	10,0	-	-	-	-
ბარდა	-	-	10,0	-	-
სოიოს შროტი 44% ნედლი პროტეინით	-	20,0	-	-	-
რაფსის შროტი	-	-	-	10,0	10,0
თევზის ფქვილი 60% ნედლი პროტეინით	12,0	-	-	-	-
ძვალ-ხორცის ფქვილი , 60% ნედლი პროტეინით	-	4,0	10,0	14,0	10,0
ქერი	35,0	40,0	30,0	34,5	20,0
ხორბალი	16,0	23,0	25,0	-	32,0
შვრია	-	-	-	-	10,0
სიმინდის მარცვალი	-	-	-	30,0	-
იონჯის ფქვილი	-	-	5,0	-	5,0
მცენარეული ან ცხოველური ცხიმები	4,0	4,0	4,5	4,0	5,0
მინერალურ –ვიტამინიზირებული დანამატი	2,0	2,5	2,5	2,0	2,0
კალციუმის კარბონატი	6,0	6,0	6,0	5,5	6,0

დანართი 3.6

კომბინირებული საკვების სანიმუშო რეცეფტები კვერცხმდებელი ბროილერებისათვის [6]

კომონენტები	კომბინირებული საკვების სხვადასხვა ვარიანტები					
	I	II	III	IV	V	VI
შემაღენლობა %-ში						
ხორბალი	36,5	–	–	32,0	–	–
სიმინდის მარცვალი	–	10,0	–	–	20,0	30,0
შვრია	–	10,0	–	–	–	10,0
ტრიტიკალი	–	–	20,0	20,0	–	–
ქერი	–	15,0	31,0	–	27,0	23,0
ჭვავი	10,0	–	–	10,0	–	–
ბალახის ფქვილი	5,0	5,0	–	–	–	5,0
საკვები პარკოსნები	13,0	15,0	–	15,0	13,0	–
ბარდა	–	–	10,0	–	15,0	–
რაფსის შროტი	15,0	–	–	11,0	15,0	–
სოიოს შროტი	–	–	28,0	–	–	24,0
ძვალ-ხორცის ფქვილი , 60% ფენნელი პროტეინით	12,0	–	–	8,0	4,0	–
თევზის ფქვილი	–	19,0	–	–	–	–
მცენარეული ან ცხოველური ცხიმები	6,0	4,0	6,0	2,0	3,0	4,0
მინერალურ –ვიტამინიზირებული დანამატი	2,5	2,0	5,0	2,0	3,0	4,0

ლიტერატურა:

1. 2000 წლისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მემცენარეობაში შრომატებადი პროცესების მექანიზაციისათვის საჭირო მანქანა-იარაღების ნომენკლატურა და რაოდენობა. კ.მ. ამირეჯიბის სახ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი 2000 წელი.
2. რჩევები ცხოველთა და ფრინველთა ნორმირებული კვების შესახებ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. მეცხოველეობისა და საკვებწარმოების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარიო აკადემია. თბილისი 2001 წ.
3. ს. თურმანიძე, გ. ჭკადუა, გ. ვაშაკიძე – ტესტები და ნორმატიული მასალები საგანში „საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ორგანიზაცია“. საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი. თბილისი. 2005 წ.
4. Datensammlung, Betriebsplanung 2002/03, Daten fuer die Betriebsplanung in der Landwirtschaftlichen Produktions-15 Auflage 2002. **Herausgegeben vom Kuratorium fuer Technik und in der Landwirtschaft e.v. (KTBL), Darmstadt.**
5. Deckungsbeitraege, der , Variable Kosten, Akh-Bedarf wichtigsten Landwirtschaftlichen Produktions-verfahren incl. Sonderkulturen. Regierung von Mittelfranken Abteilung Landwirtschaft,. Ansbach, im Oktober 2002, 12 Auflage.
6. 2003.
7. „ - „ . 2005.

სარჩევი

წინასიტყვაობა	3 გვ
შესავალი	4
მემცენარეობაში საკვები ელემენტების ნორმების მნიშვნელობა და მათი გამოყენების მეთოდოლოგია	5
თავი I მემცენარეობის პროდუქციის წარმოების მარჟინალური მოგებები	9
1.1 მარჟინალური მოგების ანგარიში თეთრი სიმინდის მოვლა–მოყვანისას	9
1.2 მარჟინალური მოგების ანგარიში ხორბლის მოვლა–მოყვანისას	10
1.3 მარჟინალური მოგების ანგარიში ქერის მოვლა–მოყვანისას	11
1.4 მარჟინალური მოგების ანგარიში თხილის მოვლა–მოყვანისას	12
1.5 მარჟინალური მოგების ანგარიში მზესუმზირას მოვლა–მოყვანისას	13
1.6 მარჟინალური მოგების ანგარიში საადრეო კარტოფილის მოვლა–მოყვანისას	14
1.7 მარჟინალური მოგების ანგარიში საგვიანო კარტოფილის მოვლა–მოყვანისას	15
1.8 მარჟინალური მოგების ანგარიში სამარცვლე სოიას მოვლა–მოყვანისას	16
1.9 1 ჰა ვენახის გაშენებისათვის საჭირო საორიენტაციო ღირებულება	17
1.10 მარჟინალური მოგების ანგარიში ვენახის (ჩხავერის) მოვლა–მოყვანისას	18
1.11 მარჟინალური მოგების ანგარიში სასუფრე ვენახის მოვლა–მოყვანისას	19
1.12 მარჟინალური მოგების ანგარიში ქლიავის მოვლა–მოყვანისას	20
1.13 მარჟინალური მოგების ანგარიში ხეხილის ინტენსიური ტექნოლოგიით მოვლა–მოყვანისას	21
1.14 1 ჰა ხეხილის გაშენებისათვის საჭირო საორიენტაციო ღირებულება	22
1.15 1 ჰა კაკლის გაშენებისათვის საჭირო საორიენტაციო ღირებულება	23
1.16 მარჟინალური მოგების ანგარიში კაკლის მოვლა–მოყვანისას	24
1.17 მარჟინალური მოგების ანგარიში მარწყვის მოვლა–მოყვანისას	25
1.18 სათბურში რემონტატული ჯიშის მარწყვის გაშენებისათვის ეკონომიკური გაანგარიშება	26
1.19 მარჟინალური მოგების ანგარიში ჟოლოს მოვლა–მოყვანისას	27
1.20 რემონტატული ჯიშის ჟოლოს გაშენების ეკონომიკური გაანგარიშება	28
1.21 მარჟინალური მოგების ანგარიში მანდარინის მოვლა–მოყვანისას	29
1.22 მარჟინალური მოგების ანგარიში ცერეცოს მოვლა–მოყვანისას	30
1.23 მარჟინალური მოგების ანგარიში პომიდორის მოვლა–მოყვანისას	31
1.24 მარჟინალური მოგების ანგარიში ფეიჰოას მოვლა–მოყვანისას	32
1.25 1 ჰა ფეიჰოას გაშენებისათვის საჭირო საორიენტაციო ღირებულება	33
1.26 მარჟინალური მოგების ანგარიში ლურჯი მოცვის მოვლა–მოყვანისას	34
1.27 1 ჰა მოცვის გაშენებისათვის საჭირო საორიენტაციო ღირებულება	35
1.28 მარჟინალური მოგების ანგარიში სუპტროპიკული ხურმის მოვლა–მოყვანისას	36
1.29 1 ჰა სუბტროპიკული ხურმის გაშენებისათვის საჭირო საორიენტაციო ღირებულება	37
თავი II მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მარჟინალური მოგების ანგარიშები	38
2.1 მეწველი ძროხის მარჟინალური მოგების ანგარიში	39
2.2 მოზერების გამოზრდის მარჟინალური მოგების ანგარიში	40
2.3 მაწოვარა ნეზვის მარჟინალური მოგების ანგარიში	41

2.4	ღორების სუქების მარჟინალური მოგების ანგარიში	44
2.5	კვერცხმდებელი დედლების მარჟინალური მოგები	46
2.6	სატბორე მეურნეობის მარჟინალური მოგების ანგარიში	48
2.7	საკალმახე მეურნეობის მარჟინალური მოგების ანგარიში	50
2.8	100 ოჯახიანი საფუტკრე მეურნეობის მოსაწყობად საჭირო ინვენტარები და მათი ღირებულებები	52
თავი III დანართები		53
3.1	კომბინირებული საკვების სანიმუშო რეცეპტი მაკე ნეზვებისათვის	53
3.2	კომბინირებული საკვების სანიმუშო რეცეპტი ახლად ასხლეტილი გოჭებისათვის	55
3.3	საკვები ნივთიერებების გამოტანა მემინდვრეობის კულტურების მიერ	55
3.4	კომბინირებული საკვების სანიმუშო რეცეფტები კვერცხმდებელი ბროილერებისათვის	56
ლიტერატურა		58